№ 4.

# ივერია

წელიწადი პირველი

24 მარტს 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის" რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის" ფასი 1877 წლს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად. . . 6 მან. —

თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

**საძიებელი:** I. ჩვენი ქალაქის ჯანმრთელობის საქმე.—II. საქართველოს მატიანე: სხვა და სხვა ცნობანი.—III. თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი.—VI. საპოლიტიკო მიმოხილვა: აღმოსავლეთის საქმე. ახალი რეისსტაღის თაობაზედ.—V. ორი ლექსი *** —VI. ცხოვრება და კანონი, წერილი მეოთხე.—VII. მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელმწიფოთათვის: დიდი-ბრიტანია.—VIII. ქალაქის სცენები ერთის დღის აღწერისა სცენა 4.—IV. გაზეთებიდამ ამოკრეფილი ამბები.—სა, X. განცხადება.

«ივერიის» შემდეგი ნომერი, სააღდგომო დღეების გამო ხუთშაბათის მაგივრად შაბათს, ორს აპრილს გამოვა.

## ჩვენის ქალაქის ჯან-მრთელობის საქმე.

ჩვენის ქალაქის მცხოვრებთა ჯან-მრთელობის საქმე ხან მიგვეფარება ხოლმე თვალთაგან და ხან ისევ გამოჰყოფს თავსა. აი ამ ჟამადაც ჩვენ შევიტყეთ, რომ ქალაქის საბჭოს (Дума) მოუსურვებია თურმე შეადგინოს კამმისია, რომელსაც მინდობილ ექმნება კეთილ განწყობა ქალაქისა ჯან-მრთელობის შესახებ. ღმერთმა ჰქმნას, რომ მაგ კეთილმა სურვილმა, ჩვეულებისამებრ, უქმად არ ჩაიაროს და ეგ ყოვლად საჭირო საქმე უწინდელებრ შორს არ გადიდვას. ღმერთმა ჰქმნას, რომ ამ კამისიას ჯეროვანის ღირსების წევრნი შეხვდნენ, მხნენი, გულმოდგინენი და ნამეტნავად მცოდნენი. ყოველი ეს ამ კამმისიისათვის მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენს წარსულში იგი მისდა მინდობილის საქმის თაობაზედ თითქმის ვერა ცნობას ვერ მოიპოვებს. ამ საგანზედ ჩვენში არა რაიმე წინასამზადისი მოღვაწეობა არა ვისა ჰქონია. თვით ჩვენს „კავკასიის საექიმო საზოგადოებას", რომლის მოვალეობაც სხვათა შორის ჩვენის მხრის მცხოვრებთა ჯანმრთელობის მზრუნველობაა, თვით ამ საზოგადოებასაც ამ საქმეში თითქმის არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის. თუ ოდესმე ამ „საზოგადოებაში" ჩამოუგდია ვისმეს სიტყვა მასზედ, რომ ჩვენს ქალაქში არის ზოგიერთი უმგზავსობა, რომელსაც სნეულება მოსდევს, ამ სიტყვას ისე მიჰსცვივდებოდნენ ხოლმე მომეტებულნი წევრნი, თითქო დაუჯერებელს ზღაპარს ისმენენო. მაგალითებრ, ამ ცხრა წლიწადს წინად ერთმა წევრმა, არა ექიმთაგანმა წარმოსთქვა, რომ მტკვრის წყალში ბევრი იმისთანა უწმინდურება ერევაო, რომელიც ჯან-მრთელობისათვის, თუ არ სავნებელი, სასარგებლო არ უნდა იყოსო. წევრთა-ექიმთა სიტყვა დაუწუნეს და უპასუხეს, რომ მისი შიში სრულიად უსაბუთოაო; რომ მტკვრის წყალი არამც თუ მავნებელია, არამედ ხალხში ნაქებია, როგორც მარგებელი წყალიო; რომ რადგანაც ჩქარი მდინარეობა აქვს, ამისათვის უწმინდურება მტკვრის წყალში დიდხანს არა რჩებაო და წყალსვე გააქვსო. როცა წინადადების შემტანმა ამის პასუხად ის მიუგო, რომ წყალს სასმელად იქიდამ კი არ იღებენო, საცა ჩქარი მდინარეობა აქვსო მტკვარსა, ესე იგი, შუა მდინარიდამ, არამედ ნაპირიდამაო, მაშინ ერთმა, რომ სიტყვა ვერაფრით მოუჭრა, ეს უთხრა: ჩემი ჩვეულებრივი გამოცდილება და თვალ-ყურის დევნა, მერწმუნეთ, ამტკიცებსო, რომ თქვენი შიში მეტიაო." იმისთანანიც იყვნენ თურმე ამ საზოგადოებაში, რომელთაც ეთქვათ, რომ რა საკადრისია ჩვენის სამეცნიერო საზოგადოებისათვის მაგ უბრალო საგანზედ მჯელობა გას-

წიოსო. მაგრამ სხვებმა იმოდენად პატივი დასდეს ამ საგანსა, რომ თუ არაფერი ჰქმნეს, მასლაათი მაინც გასწიეს მტკვრის წყალის ავ-კარგიანობის თაობაზედ და ამით დაასრულეს საქმე.

ჩვენ ეს ამბავი იმიტომ მოვიყვანეთ აქ, რომ გვეჩვენებინა რა იმედი უნდა ჰქონდეს კამმისიას ჩვენს წარსულზედა. საცა ამგვარს მსჯელობას, როგორიც ზევითა გვჴსთქვით, მეცნიერთა კრებაში ადგილი ჰქონია, სხვისა რა უნდა ვიფიქროთ. მაგრამ ჩვენდა საკეთილოდ, ყოველივე ზემოდ თქმული დიდი ხნის ამბავია. დღეს კი იგივე საზოგადოება უფრო მეტის თანაგრძნობით უყურებს ხალხის ჯან-მრთელობის საქმესა. შარშანდელის წლის დასასრულს მაგ საზოგადოებამ კვლავ მიაქცია თავისი ყურადღება ჩვენის ქალაქის ვითარებას შესახებ ხალხის ჯან-მრთელობისა და იმ საზოგადოების გულმტკივნეულობა იქამდინაც მივიდა, რომ მლიქ-მლიქობით დაინახა ჩვენის ქალაქის უმგზავსო მდგომარეობა მცხოვრებთა ჯან-მრთელობისათვის. თვით მტკვრის უწმინდურება, და იმ უწმინდურების მავნეობა, რომელიც ცხრას წელიწადს წინად თითქმის სასაცილოდ აგდებულ იქმნა, ეხლა საფიქრებელი და ღირს საშიშელი გაუხდათ. ერთის სიტყვით ჩვენის ქალაქის სიმრთელისათვის მზრუნავთა ამ მეცნიერის საზოგადოებიდამ ბევრი არა ფერის გამოტანა შეუძლიან, გარდა იმისა, რომ ქალაქის განწყობილება ამ მხრით ცუდს მდგომარეობაშია და ამ მდგომარეობის გამოცვლა საჭიროა. მაგრამ ქალაქის საბჭომ ეს ამბავი უამისოთაც კარგად იცოდა. ამას ამტკიცებს წინად ხსენებულის კამმისიის შედგენის სურვილი. თუნდ ეგეც არ იყოს, კაცმა რომ თვალი დააკვირვოს ყოველ წლივ რამდენი კაცი უკვდება ქალაქსა, უტყუარად შეიტყობს ჩვენის ქალაქის ავ-კარგიანობის ვითარებას ჯან-მრთელობის შესახებ. უკანასკნელის აღწერით ტფილისში 90,000 სულია. რიცხვთა შუა რომ ვიანგარიშოთ გამოვა, რომ ტფილისს, სამხედროთა გარდა, 2,500-დამ 2,700 კაცამდე მოქალაქე ყოველ წლივ ეხოცება, ასე რომ ათასს სულზედ ოცდა რვა, ოცდა ათი კაცი მოდის. ეს ცოტა არ არის, მით უფრო რომ ქალაქის ჰავა არავისგან ცნობილი არის ავის თვისების ჰავად. იმ ქვეყნებში, საცა ხალხის ჯან-მრთელობისათვის მზრუნველობას დიდი ადგილი უჭირავს, მაგალითებრ ინგლისში, მიღებულია, რომ თუ ვინცობაა რიცხვთა შუა ანგარიშით ათასში ოცდა სამს კაცზედ მეტი კვდება, ჰსჩანს ჯან-მრთელობის საქმე ცუდად არის მოწყობილი და გასწორება უნდაო.

ზემოხსენებულის ანგარიშიდამ ჰსჩანს, რომ ტფილისს ტყუილ უბრალოდ და დღე ნაკლულად ეხოცება ყოველ წლივ ოთხას ორმოცდა ათს კაციდამ ექვსას ოცდაათამდე, მაშინ როდესაც ქალაქის ჯან-მრთელობას რომ უკეთესი მზრუნველობა ჰქონდეს ამოდენა ხალხს სიცოცხლე უდროოდროდ არ მოესპობოდა, ეს ხალხი ქალაქს შერჩებოდა და ამისგამო მწარმოებელნი და მშრომელნი ძალნი მეტი ექმნებოდნენ ქალაქის სიმდიდრისა და კეთილ დღეობისათვის. ეს ამოდენა უბედურობა, ეს ამოდენა ხალხის ტყუილ-უბრალოდ, უდროოდ დაკარგვა რომ ფულად ვაქციოთ და წარმოვიდგინოთ, რომ თვითეულს კაცს წელიწადში ხუთის თუმნის სიმდიდრის შექმნა და მოპოება შეუძლიან, გამოვა, რომ ტფილისი ყოველ წლივ ჰკარგავს ორი ათას თუმნიდამ სამი ათას თუმანზედ მეტსა. ზნეობითს გულმტკივნეულებას ავყვებით, თუ ეკონომიურს ანგარიშსა, ორივეს მხრით ცხადია, რომ ქალაქის ჯან-მრთელობის საქმე იმისთანა საქმეა, რომელსაც დიდის ყურადღების მიქცევა უნდა, გულმოდგინებით ხელის მოჰკიდება, ერთის სიტყვით, ღირს რომ ამაზედ ქალაქის გამგეობამ თვისი შრომა და ღვაწლი დასდოს.

მიზეზნი ამოდენა ხალხის უბრალოდ დაღუპვისა და ღონისძიებანიცა ამა მიზეზთა მოსპობისათვის ნაჩვენებნი არიან. ამას წინედ ექიმმა უფ. სოკოლოვმა კავკასიის საექიმო საზოგადოებაში წინადადება შეიტანა ქალაქის ჯან-მრთელობის თაობაზედ და სხვათა შორის სთქვა შემდეგი: „ამოდენა ხალხის ტყუილ-უბრალო, ადრეული სიკვდილის მიზეზი ქალაქის მინაგანი გარემოებანი არიან. მისი მოედნები და ბაზრები ასეთს უწმინდურებას წარმოგვიდგენენ, რომ სადი კაცი, რომელსაც კი უწმინდურების ხაროს ჰაერით არ უცხოვრია, ისე ვერ გაივლის რომ ცხვირზე ხელი არ მოიჭიროს და სუნთქვა არ შეიკავოს. თვითონ მტკვარიცა, რომელიც დაქანებულს ფერდობებ შუა მოდინარეობს და რომელშიაც ამის გამო ჩადის ქალაქის ყოველგვარი უწმინდურება, სასმელი წყალიც არის და, ერთსა და იმავე დროს, უწმინდურების წამღებ-წამომღებიცა. ძველს ქალაქში კიდევ ასეთი ვიწრო ქუჩებია, რომ კაცს ადვილად შეუძლიან ერთის ბანიდამ მეორეზედ გადახტომა და ამის გამო ჰაერი ასეთი დახშულია, რომ დიდს ქარშიაც ფოთოლი არ შეინძრევა.“ ყოველს ამ მიზეზების მოსასპობლად საჭიროაო, ჰსთქვა შემდეგ უფ. სოკოლოვმა, „ქალაქს სასმელი წყალი ბლომად და, ჯან-მრთელობის მიხედვით, წმინდა ჰქონდესო, უწმინდურების გასატანად არხები რიგიანის წესით გაიჭრასო, ქალაქი ერთობ ფაქიზად ინახებოდესო და ჰაერის სამუშაოდ შენობათა შორის ფართობა იყოსო.“ ეს ყოველი აუცილებლად საჭიროაო, რომ სნეულება და სიკვდილიანობა ერთობ შემცირდესო

და თვით იმ ავათ-მყოფობას, რომელიც გარედამ წარმოსდგება, მომაკვდინებელი მალა ცოტად თუ ბევრად მოაკლდესო. უფ. სოკოლოვის ანგარიშით, 1875 წელს ასს მკვდარში ორმოცი ყოფილა იმისთანა სნეულებისაგან (инфекціонныя болѣзни) მკვდარი, რომლის დასაბამი გარეგანი უწმინდურება არის, და 1876 წ., ქიმის უფ. ზელინსკის ანგარიშით, ორმოცდა ერთზედ მეტიცა (41,5⁰/₀) ყოფილა. უფ. ზელინსკის თავის ახალს თხზულებაში (Общій обзоръ Санитарнаго состоянія и Судебно-медиц. дѣят. въ Тиф. Губ за 1876 годъ), მოჰყავს, რომ, უეცარის სიკვდილით და სამკურნალოებში დახოცილთ გარდა, ქალაქში 1876 წ. ორი ათას სამას ორმოცდა თოთხმეტი სული მომკვდარა. აქედამ მხოლოდ ათას ექვსი თავისის მიზეზით დახოცილა, ესე იგი, იმ მიზეზით, რომლის მოსპობაც კაცის ხელთ არ არის. ამის გამო უფ. ზელინსკი ამბობს: „მაშასადამე, ნახევარზედ მეტი წილი დახოცილთა უნდა მიეწეროს ქალაქის ცუდს განწყობილებასა ჯან-მრთელობის შესახებ, ესე იგი, მას რომ მიწა, წყალი, ჰაერი უწმინდურებისაგან წამხდარია და მავნებელი. ამაების მოსპობა კი შესაძლოა. ქალაქმა რომ კარგი წმინდა წყალი იქონიოს, რიგიანი და ნამდვილად გამოსაყენი არხები უწმინდურებისათვის, სიოვართოჲ ჰაერის თავისუფლად მოძრაობისათვის, ქალაქში მალიან შემცირდება როგორც სნეულება, ისეც სიკვდილიანობა გარედამ წარმომდგარის ავათ-მყოფობისაგან და ამ სახით ქალაქი დაიხსნიდა რამდენიმე ასს კაცს ყოველ წლივ უდროო სიკვდილისაგან. ბოლოს უფ. ზელინსკი ამბობს: „არამც თუ მარტო უგულო ეკონომიური ანგარიში გვიწვევს საზოგადოების ყურადღება აღვძრათო და ხან დაუყოვნებლივ შეუდგეთ ქალაქის ჯანმრთელობის თადარიგსაო, არამედ ზნეობითი მოვალეობა იმ მცხოვრებთა წინაშე, რომელთ იცავსაც ულმობელის სიკვდილის ჯერი ხვდებაო“.

ამას ითხოვს არამც თუ ეკონომ-კაცი და მისი გულის ტკივილი, არამედ ისინიცა, რომელნიც ჩვენის ქალაქის უთავ-ბოლო მოწყობილების გამო სავარალს იხდიან, უბედურებაში ცვივიან, იტანჯებიან. წრფელის გულით ვიმედოვნებთ რომ ქალაქის გამგეობა ამ კაცთ-მოყვარეობის საქმეს რაკი შეუდგა ყოველს ღონეს იხმარებს, რათა დაწყებული საქმე დაავგვირგვინოს კიდეც თავის სასახელოდ და ჩვენის ქალაქის მცხოვრებთა სამადლოდ.

---

## საქართველოს მატიანე

—

### სახელმწიფო შემოსავალი ამიერ-კავკასიისა.

ამ უკანასკნელს ხუთს წელიწადში ამიერ კავკასიის შემოსავალმა მოიმატა ერთი მილიონი ორას ერთი ათას ოთხას ოცდა ათი მანეთი (1,201,430).

1874 წლის შემოსავალი იყო 5,064,395 მანეთი. ამათ შორის შემოვიდა: *)

ფოშტის ფული და მარკა — — 1,449,557 მ.
სასმელთა ბაჟისა— — — — — — 459,252—
მარილისა და შაბისა — — — — 253,137—
დამღისა — — — — — — 1,422,345—
საიჯაროდ გაცემულის მამულებისა— 441,607—
სახელმწიფო ტყისა — — — — 96,878—
ღერბის ქაღალდისა — — — — 159,974—

1872 წლის შემოსავალი იყო: 5,6000,843 მანეთი. ამათ შორის შემოვიდა:

ფოშტის ფული და მარკა: — — 1,579,789—
სასმელთა ბაჟისა — — — — 483,792—
მარილისა და შაბისა — — — — 228,807—
დამღისა — — — — — 1,659,387—
საიჯაროდ გაცემულის მამულებისა — 647,974—
სახელმწიფო ტყისა — — — — 128,174—
ღერბის ქაღალდისა — — — — 204,033—

1873 წლის შემოსავალი იყო: 5,727,179 მანეთი. ამათ შორის შემოვიდა:

ფოშტის ფული და მარკა — — 1,597,192—
სასმელთა ბაჟი — — — — 639,259—
ნავთისა— — — — — — 211,952 (**)
თამბაქოსი — — — — — 162,893 (**)
მარილისა და შაბისა — — — — 177,603—
დამღისა — — — — — 1,348,635—
საიჯაროდ გაცემულის მამულებისა— 534,989—
სახელმწიფო ტყისა — — — — 125,064—
ღერბის ქაღალდისა — — — — 204,303—

1874 წლის შემოსავალი იყო: 6,141,761 მანეთი. ამათ შორის შემოვიდა:

ფოშტის ფული და მარკა — — 1,651,607—
სასმელთა ბაჟისა — — — — 790,891—
ნავთისა— — — — — — — 292,974—

---

*) ყოველის წლის შემოსავალში გაჩვენებთ მხოლოდ შესანიშნავს საგანთაგან შემოსავალსა.

**) ამ ორის საგნის შემოსავალი პირველს ორ წელიწადში არ იყო.

| | |
|---|---|
| თამბაქოსი — — — — — — | 403,699— |
| მარილისა და შაბისა — — — — | 228,807— |
| დამოჯნისა — — — — — — | 1,280,409— |
| საიჯარო მამულებისა — — — — | 520,779— |
| სახელმწიფო ტყისა — — — — | 134,030— |
| ღერბის ქაღალდისა — — — — | 170,980— |

1875 წლის შემოსავალი იყო 6,265,825 მანეთი. ამათ შორის შემოვიდა:

| | |
|---|---|
| ფოშტის ფული და მარკა — — | 1,934,218— |
| სასმელთა ბაჟისა — — — — | 684,861— |
| ნავთისა — — — — — — | 191,061— |
| თამბაქოსი — — — — — — | 421,967— |
| მარილისა და შაბისა — — — — | 107,334— |
| დამოჯნისა — — — — — — | 1,188,088— |
| საიჯარო მამულებისა — — — — | 592,600— |
| სახელმწიფო ტყისა — — — — | 128,400— |
| ღერბის ქაღალდისა — — — — | 222,376— |

—

როგორც მოგეხსენებათ, ტფილისის სასტატო ინსტიტუტთან ერთად არსებობს საქალაქო სასწავლებელიცა, რომელშიაც მხოლოდ ერთხან დააწყებინეს ქართულის სწავლა. ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ სასწავლებელში ქართულის ენის სწავლა მიუნდვიათ ზემოხსენებულის ინსტიტუტის მოწაფეებისათვის, რომელთაც ქართული არ უსწავლიათ, რადგანაც არ უსწავლებიათ, იმიტომ-რომ ქართული ენის სწავლება ამ ინსტიტუტში მიღებული არ არის. მოწაფენი ჩივიან თურმე, ჩვენთვის რომ ქართული არა ვის უსწავლებია, ჩვენ სხვას როგორღა უნდა ვასწავლოთო. გულისხმიერს უფროსს უკვირს თურმე ეს ჩივილი და ეუბნება: ქართველები ხართო, საქართველოში დაბადებულნიო და როგორ არ შეგიძლიანთ ქართულის ენის სწავლებაო! აი დამკვდარის ჭკუის პასუხი? რუსეთში რომ ვისაც არა მგონია წავლოს ხელი კაცმა და უთხრას: რუსი ხარ და რუსულის ენის სწავლება გეცოდინებაო, მოდი ისტატეო, ნეტა გვითხრან—მაშინ მოწაფე ვინღა იქნება?

—

**Тифлисскій Вѣстникъ**-ში № 61 მოხსენებულია, რომ ადგილ-მამულის გამიჯნავებისათვის დაწესებულს სასამართლოსათ ახალი ცვლილება მოელისო. ეს ცვლილება იმაზედ არის მიმართული, რომ მომქმედნი პირნი მოუმატონო, გამიჯნავების სასამართლოს წევრნი გაანთავისუფლონო იმა შრომისაგან, რომელიც მათ პირ-და-პირს დანიშნულებას არ ეთანხმებაო და ზედა-მხედველობა გამიჯნავების საქმეთა წარმოებისათვის უფრო რიგიანი და განმტკიცებული მიღებული იქმნასო. ბოლოსვე **Тифлисскій Вѣстникъ**-ი ამბობს, რომ მეტად ნაკლულს ჯამაგირებს მიწის მზომელთათვის (землемѣры) დანიშნულსა აქამომდე ის შედეგი ჰქონდაო, რომ ბევრს მათგანს აიძულებდაო სხვაგან სამსახურში გადასულიყოო და შესწავლულის ხელობისათვის თავი დაენებებინაო.

სიხარულით მივეგებით ამ ცვლილებას, რომელიც გამიჯნავების, ამ მეტად საჭირო საქმის, აჩქარებას გვიქადის. ამასთანავე სასურველია, რომ ამ ცვლილებაში დავიწყებულ არ იქმნას ის ეკონომიური ზოგადი კანონი, რომ რამოდენადაც ჯამაგირ-ფასი მცირეაო, იმოდენადაც თვითონ ჯამაგირც სუსტიაო.

---

## თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი

—

უწყალო სიყვარულო, რად მკოდე ესდენ მწარედ?
რისთვისა მჭყავ მღერალი საუკუნოდ მკვნესარედ?
რად მაჩვენე შვენება გულის დასატყვევნელად,
სახე სხვათა სახეთა შობილი დამჩაგვრელად?
ვიცი,—მისი ისმარენ მშვილდი ჩემად საწყლველად
და ჰყინდელნი ლესულნი საკვდად, განსაისრველად.
უწყალო სიყვარულო, რად მკოდე ესდენ მწარედ?
რისთვისა მჭყავ მღერალი საუკუნოდ მკვნესარედ?
გრძნეულთა მათ მასვილთა ესე რა ჰსჭირვებიან,
უოვლნი მათგან კოდვილნი მათვე ემჭსჭვალვებიან;
გული მიწყდეს, გრძნობანიც სრულიად მათვენ ჰრბიან,
ეს ზომად ჰსწყურთ სისხლე, რაზომთაც ივნებიან,
თვით გონებაც მათ მისდევს, ვაი ჩჩომილსა ხელად!
უწყალო სიყვარულო, რად მკოდე ესდენ მწარედ?
რისთვისა მჭყავ მღერალი საუკუნოდ მკვნესარედ?
მათ მოსისხლეთა ჩემთა ოდეს განვიცდი თვალით,
მიზიდულ ვარ მათდამი უხილავითა ძალით,
ხან ალმიტაცებს თრთოლა, ხან შმაგი ცნობა მთვრალი?
უძრავად ვდუმარეობ და ვიწვი წვლილის ალით,
ოხვრალა მაქვს სიცოცხლის ნიშნად, შესამცნეველად.
უწყალო სიყვარულო, რად მკოდე ესდენ მწარედ?
რისთვისა მჭყავ მღერალი საუკუნოდ მკვნესარედ?
ოდეს ვჭშორავ მას მიზეზს ჩემისა ვალალების,
სოფელი მჩანს საპყრად, სადგურად ოდენ მკვდრების;
ვჰრბი და მჭსდევენ დასები სევდის და მწუხარების;
მასვე საგანს ვეძიებ, გარნა რა ვერსად მხვდების;
სულთქმა ჰქუხს, ჰსწვიმენ ცრემლნი, დღე შემექმნების ბნელად.
უწყალო სიყვარულო, რად მკოდე ესდენ მწარედ?
რისთვისა მჭყავ მღერალი ხაუკუნოდ მკვნესარედ?

ბედნიერნო ჭაბუკნო, თუ გწადსთ მრთელად დაცვა გულთა,
ეგრძნელენით ვარდთ ზამბახთ, სართოზედ აღზარდულთა;
თვარა თვალთავე თქვენთა, მათ მიერ მიზიდულთა,
ძალ-უმსთ მონად ქმნა თქვენი ვითა ტყვედ მისყიდულთა;
გერდა გკურნოსთ ჩივილმან, გინა ჭსნდეთ ჩემებრ მთქმელად!
უწყალო სიყვარულო, რად მკოდე ესდენ ძნელად?
რისთვისა მჭყავ მდერალი საუკუნოდ მკვნესელად?

---

## უ ც ხ ო ე თ ი

**საპოლიტიკო მიმოხილვა.** — სტამბოლის კონფერენცია რომ დაიშალა, ევროპის საზოგადოება დიდის მოუთმენლობით მოელოდა, თუ რა გზას დაადგებიან ეხლა უპირატესნი სახელმწიფონი, იმისთანას რას მოიგონებენ, რომ, ერთის მხრით, საყოველთაო მშვიდობიანობა არ დაირღვას და, მეორეს მხრით, მათს პატიოსნებას და ღირსებას არაფერი არ მოეცხოს, რადგანაც კონფერანციის ეგრე უნაყოფოდ დაშლას ცოტად თუ ბევრად სირცხვილი მოსდევდა ყველასათვის. თქმა აღარ უნდა, რომ დიპლომატიას მარტო ეს ორი საგანი აწუხებდა. ინგლისის მინისტრმა აკი აღიარა კიდეც პარლამენტში, რომ სლავიანთა ბედის გასწორებასა მცირე მნიშვნელობა აქვსო აღმოსავლეთის საქმეში; უპირატესი და უაღრესი საგანი ამა საქმისა ოსმალეთის დაურღვეველობა არისო. თუ ოსმალეთი დაიშლებაო, ამას მოჰყვება საშინელი არეულობაო. რადგანაც ამ უკანასკნელს საგანზედ სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის თანხმობა შეუძლებელი იყო, დიპლომატიამ განიზრახა თავი დაეხწია ამ რთულისა და ძნელის საქმიდამ ასე რომ მშვიდობიანობაც არ დაერღვია და თავისი ღირსებაც არ დაემხო. ამიტომაც ჩვენ საბუთი გვაქვს ვჰსთქვათ, რომ ევროპის დიპლომატიას კონფერენციის დაშლის შემდეგ მარტო ამ ორ ნაირის სურვილის აღსრულების ზრუნვალა ჰქონდა.

ამ შემთხვევის გამო ევროპის საზოგადოებას დიდი ლოდინი ჰქონდა ინგლისის პარლამენტისა, რომელიც 8 თებერვალს უნდა შეყრილიყო, — ყველა ამას ჰფიქრობდა: აბა ვნახოთ რას იტყვის ახლა ინგლისი, რომლის თაოსნობითაც გაიმართაო კონფერანცია და რომელიც ისე გაცხარებით სცდილობდა დაეცვა ოსმალეთის ერთობაო. გარდა ამისა, ახლად შეყრილს პარლამენტს ინგლისისას სხვაფრივაც დიდი მნიშვნელობა ექლევოდა. ყველასთვის ცხადი იყო, რომ ინგლისის მთავრობა ცოტად თუ ბევრად, მხარს აძლევდა ოსმალეთის სახელმწიფოს და სლავიანებისა კი ბევრი არა ენადვლებოდა რა. ამ რიგი საქციელი მთავრობისა სრულებით არ მოსწონდა ინგლისის მთელს საზოგადოებას თუ არა, მის შესანიშნავს ნაწილს მაინც. ეს ნაწილი დიდად თანაუგრძნობდა სლავიანებს და წამ და უწუმ ისმოდა ინგლისიდგან, რომ ამა და ამ ადგილას დიდ-ძალი ხალხი შეიყარაო და თავისი გულ-წრფელი სამდურავი გამოუცხადა მთავრობასაო. ერთის სიტყვით ინგლისის საზოგადოების აზრი და მთავრობის მიმართულება ისეთ ნაირად შორის შორს იყვნენ ერთმანერთზედ ამ შემთხვევაში, რომ ყველას დიდს განხეთქილებას მოელოდა მათ შორის რა წამსაც შეიკრიბებოდა პარლამენტი. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ინგლისის პოლიტიკა სრულებით გამოიცვლებოდა და აწმყო კაბინეთი უსათუოდ გადადგებოდა, რადგანაც ინგლისში საზოგადოების ხმას დიდი ძალი და გავლენა აქვს, ვიდრე სხვა სახელმწიფოში სადმე.

ამ იმედმა, ცოტად თუ ბევრად, ამაოდ ჩაიარა. თუმცა ბევრი მთავრობის წინააღმდეგი სიტყვა წარმოითქვა პარლამენტში, მაგრამ არც სამინისტრო გადადგა და არც არა ვითარი შესანიშნავი ცვლილება არ დაეტყო ინგლისის პოლიტიკასა. „ძალიან სამწუხაროაო", სამეფო სიტყვით (ТРОННАЯ РѢЧЬ) წარმოთქმულ იქმნა, „რომ კონფერენციამ ფუჭად ჩაიარაო, მაგრამ ჩვენდა სანუგეშოდ ამ კონფერენციას ერთი სასიამოვნო შედეგი მოჰყვაო: მან ცხადად გვიჩვენაო რომ ევროპის სახელმწიფოთა შორის თანხმობა და ერთ გვარი სურვილი სუფევსო. იმედი ვიქონიოთო, რომ ეს თანხმობა შემდეგშიაც არ დაირღვევაო.

ჯერ პარლამენტი არ შეყრილიყო როდესაც რუსეთმა წარუდგინა ევროპის სახელმწიფოებს და, სხვათა შორის, ინგლისსაც, წინადადება და ჰსთხოვა გამოეცხადათ მათ, რას აპირობენ შემდეგში, როგორ ჰსურთ მოექცნენ ოსმალეთს კონფერენციის დაშლის შემდეგ. ინგლისის სამეფო სიტყვაში ამ წინადადებისა ხსენებაც არ იყო. ამასობაში გავარდა ხმა რომ ოსმალეთი ერთის წლის ვადას თხოულობსო დაპირებული ცვლილებების აღსრულებაში მოყვანისათვისაო და ინგლისიც სცდილობსო ამ თხოვნას ჯეროვანი ყურადღება მიეცესო.

შემდეგ, როდესაც რუსეთის ზემოხსენებულმა წინადადებამ უნაყოფოდ ჩაიარა, რუსეთმა მიანდო თავისის განზრახვის უფრო მტკიცედ აღსრულება ღენერალს იგნატიევს, რუსეთის ელჩს ოსმალეთის წინაშე. ღენერალი იგნატიევი უნდა წასულიყო ბერლინსა, ვენასა და პარიჟში. ეს თანამდებობა ღენერალ იგნატიევისა ჯერაც არ შესრულებულა. რუსეთმა ღენერალ იგნატიევის პირით შეუთვალა სხვა სახელმწიფოებს შემდეგი წინადადება: ევროპამ ხელმეორედ მტკიცედ უნდა წარუდგინოს ოსმალეთს

კონფერენციის განაჩენით. ამ განაჩენს ორში ერთი საჩე უნდა მიეცეს: ან ექვსმა უპირატესმა სახელმწიფომ უნდა, ერთმანერთის ხელშეკრულობით, დაადგინონ სიგელი (ПРОТОКОЛЪ), რომლის ძალითაც ევროპამ უნდა გამოუცხადოს ოსმალეთს თავისი გადაწყვეტილი სურვილი იმა ცვლილებათა აღსრულების შესახებ, რომელნიც წარდგენილნი იყვნენ კონფერენციის მიერ; ან არა და, ევროპამ უნდა ჩამოართოს ოსმალეთს ხელწერილი, რომ იგი უსათუოდ მოახდენს კონფერენციის მიერ წარდგენილს ცვლილებასა. ამ ორივე შემთხვევაში, ოსმალეთს უნდა მიეცეს მხოლოდ ექვსი კვირის ან ორი თვის ვადა, რომლის განმავლობაში მან უნდა აასრულოს ევროპის ნება,— და ბოლოს თუ ოსმალეთი ამ ვადაზედ ევროპის ნებას არ აღასრულებს, მაშინ ევროპის სახელმწიფონი თუმცა ვალდებულ არ იქმნებიან საერთოდ რაიმე ძალა და იარაღი იხმარონ ოსმალეთზედ, მაგრამ კი თუ რომელიმე სახელმწიფო ცალკე ომს გამოუცხადებს ოსმალეთსა, არც ერთმა სხვა სახელმწიფომ არ უნდა დააბრკოლოსო. აი რაში მდგომარეობს ის წინადადება, რომელიც ღენერალ იგნატიევის პირით რუსეთმა ევროპას შეუთვალა და რომლის პასუხსაც ამ ჟამად მოელიან. სიგელზედ ხელის მოწერის შესახებ ინგლისი ყოყმანობს და ჯერჯერობით საქმე ამაზედ არის შემდგარი.

რაც შეეხება სლავიანებს, აი რას იწერება ერთის რუსულის გაზეთის კორრესპონდენტი: „როგორც ჰსჩანს, ჰერცოგოვინაში და ბოსნიაში ოსმალებმა ხელმეორედ დაიწყეს ქრისტიანების დევნა და ტანჯვა. აქაოდა გავიმარჯვენითო და სლავიანები დავამარცხეთო, ახლა თავის ჯავრს ქრისტიანებზედ იყრიან და უდიერად ეკიდებიან. თუმცა ოსმალეთის სახელმწიფოში თავისუფლებაც გამოცხადებულია, თანასწორობაც და კონსტიტუციაც, მაგრამ სლავიანები, მეტადრე ბოსნიის ღარიბი მაზრები, საშინელ ტანჯვაში არიან“. შემდეგ, ამის დასამტკიცებლად კორრესპონდენტს მრავალი მაგალითი მოჰყავს. აბა ახლა შეადარეთ ერთმანერთს ის დიპლომატიის უქმი გულის ტკივილი და ეს ნამდვილი ოხვრა და გვნესა ხალხისა. თითქმის ორი წელიწადია მას აქეთ რაც სლავიანები გადუდგნენ ოსმალეთს: ბევრი ვაი-ვაგლახი გამოიარეს, ბევრი სისხლი და ცრემლი დაიღვარა, მაგრამ სლავიანების მდგომარეობა კი იგივეა.—

— ეს წელიწადი ძალიან შესანიშნავი იქმნება გერმანიისათვის. ახლად ამორჩეულმა რეიხსტაღმა *) დიდად ჩააფიქრა მთავრობა, რადგანაც მის წევრთა შორის იმ რიგი კაცები ამოურჩევიათ, რომელნიც ყოველთვის მთავრობის მომდურავნი და წინააღმდეგნი ყოფილან და არიან კიდეც. ახალმა რეიხსტაღმა ცხადად დაუმტკიცა მთავრობას, რომ იმ დასსა, რომელსაც ეკუთვნიან ეს ახლად ამორჩეულნი მოწინააღმდეგენი, უკანასკნელ სამ ოთხ წელიწადში ძალიან ფეხი გაუდგამს ხალხში, თანაგრძნობა მოუპოვებია და გავრცელებულა. ამის შიში იმ სამეუფო სიტყვასაც დაეტყო, რომელიც იმპერატორმა ჩვეულებისამებრ წარმოსთქვა რეიხსტაღის პირველს ყრილობაში, 10-ს თებერვალსა. აი რა სთქვა მან სხვათა შორის: „მართალია, ჩვენი ეკონომიური მოძრაობა ცოტად მიძინებულია. ბევრნი ამის მიზეზს ეძებენ იმ გარემოებაში, ვითომ ჩვენი შინაგანი კანონიერი განწყობილება მკვიდრი არ არისო. მაგრამ, ვგონებ, თქვენც იმ აზრისა უნდა იყოთ, რომ ამას არა ვითარი საბუთი არა აქვს. იმპერიის განწყობილება და გერმანიის ხალხის კეთილ-გონიერება დიდძალი სიმაგრეა აღმშფოთველობის მიდრეკილების წინაშე, რომელსაც კი განზრახვათ აქვს შეარყიოს ჩვენი წესდებულებანი და გზა გადუღობოს მართებულს განვითარებას ჩვენის ცხოვრებისასა. ეს „აღმშფოთველობის მიდრეკილება“ ნათქვამია იმ დასზედ, რომელმაც გაგზავნა რეიხსტაღში ათიოდე სოციალ-დემოკრატი. სოციალ-დემოკრატის წყობის კაცი თერთმეტია მთელს რეიხსტაღში, სადაც სულ სამას ოთხმოცდა ჩვიდმეტი წევრია. მაშ ძალიან საშიში კაცები ყოფილან ეს სოციალ-დემოკრატები, თუ კი ათიოდმა კაცმა შეაწუხა და ჩააფიქრა თვითონ იმპერატორიცა. ვეცდებით რამდენიმე სიტყვით აგიხსნათ მკითხველს ამ დასის გულის წადილი და რწმენა.

ამოდენა ხანია სუფევს კაცობრიობა, ამდენი საუკუნე გაუტარებია მას ისტორიაში, ამდენი შრომა გაუწევია ადამიანის ჭკუას და გონებას, ამოდენად წინ წამდგარა მეცნიერება და განათლება, მაგრამ კაცობრიობის უმრავლესს ნაწილს კი არა ეშველა რა. იგი შედარებით, იმავე სიღარიბეშია, იმავე ტანჯვაში და ვაი-ვაგლახშია, როგორც ათასის წლის წინედ იყო. რა არის ამის მიზეზი? რა ღონისძიებაა იმისთანა, რომ ძირიანად ამოგლიჯოს ეს სატკივარი და ყველას თანასწორი ბედნიერება მიეცეს? ცხოვრების დაკვირვება უჩვენებს სოციალ-დემოკრატებს, რომ ყოველ უბედურობის მიზეზი საზოგადო ცხოვრებაში ეკონომიური უთანასწორობაა. ეკონომიურის მხრით კაცობრიობა განიყოფებაო ორ ნაწილად: ერთს, უმრავლეს ნაწილს, დაშთენია მხოლოდ შრომა, მეორეს (უმცირესს)—სამუშაო მასალა და იარაღიო. ეს ორი ღონე, ერთ გვარად-აუცილებელნი ეკონომიურის წარმოებისათვის, ერთი ერთმანერთზედ დაშორებულნი და მტრად გადა-

*) ხალხი რეიხსტაღის წევრთ მხოლოდ სამის წლის ვადით ირჩევს. უკანასკნელად რეიხსტაღი ამორჩეული იყო 1874 წელს, მაშასადამე წრეულ გაუთავდა მას ვადა და იანვარში ხელახლად არჩევანი მოხდა.

კიდებულნი არიანო. ეს განხეთქილება არისო ძირეული, თავდაპირველი მიზეზი საზოგადო უბედურებისაო. ამ განხეთქილებას მოსდევს ის შეურყეველი, ლასსალის სიტყვით, რკინის კანონი ეხლანდელ ეკონომიურის ცხოვრებისა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: რაც უნდა ბევრი იშრომოს, მუშა-კაცი იმაზედ მეტს ვერ მოიგებს, რაც საჭიროა მარტო მისის სხეულის უპირველესის მოთხოვნილებისათვის, ე. ი. რაც საჭიროა იმისათვის, რომ შიმშილით არ მოკვდეს. მაშასადამე, უკეთესი და უმთავრესი ღვაწლი საზოგადოებისა იმაზედ უნდა მიიმართოს, რომ მოისპოს ეს ძირეული მიზეზიო, მოისპოს ეს შრომის და ქონების შორის განხეთქილება და ამ ორთა ეკონომიურ კავშირთა შორის თანასწორობადა მორიგება ჩამოვარდესო. ამისათვის მუშა ხალხს უნდა მიეცეს შრომისათვის საკუთარი ქონება, რომ თვით მუშაც იყოს და მუშაობის ნაყოფის პატრონიცაო; რომ ყოველი ნაყოფი მისის ნაწარმოებისა განუყოფელად მასვე მოხმარდესო და ამით თავდასხნილი იყოს იმათგანა, რომელთაც ხელშიაც ამ ჟამად ქონება მოგროვებულია და გროვდება კიდეც იმავე მუშა-ხალხის მეოხებითაო. თვით მუშა-ხალხი ამას ვერ იქმსო, თუ ამისთანა წყობა იქნებაო. ამისგამო მას გარედამ შემწეობა რამე უნდა მიეცესო. ვისგან უნდა მოველოდეთ ამ შემწეობასაო? ვისა აქვს ამოდენა სახსარი და ღონე, რომ ეგ შემწეობა იკისროს და მაგ შემწეობის თანამდები იყოსო? სხვას არავის, თუ არ თვით სახელმწიფოს, თუ არ თვით მთავრობასაო. ხოლო რადგანაც აწინდელი წყობილება მხოლოდ ქონების პატრონთათვის არის სასურველი და თვით მთავრობას წევრნიც ამათგანივე არიანო, ამიტომაც ეხლანდელს მთავრობაზედ იმედი არ უნდა გვქონდესო, ვიდრე თვით მუშა-ხალხი არ მოიპოვებს პოლიტიკურს ძალასა, ვიდრე თვით მუშა-ხალხს თავისი საჭიროების წარმომადგენელნი მთავრობაში არ ეყოლებაო. ვიდრე თვით მუშა ხალხი არ მიიღებს მონაწილეობას კანონ-მდებლობასა და მმართველობაშიო, მას აწინდელი მთავრობა ხელს არ მოუმართავსო. მაშასადამე, მუშა ხალხის ყოველივე მეცადინეობა იმაზე უნდა იყოსო მიქცეული, რომ მთავრობითი უფლება და ხმა შეიძინოსო, ე. ი. კანონთ-მდებელს პალატასა და რეისსტაღში თავისი გულშემატკივარი წარმომადგენელი უნდა გაგზავნოსო რაც შეიძლება ბლომათაო, რომ ამით მოახდინოს სახელმწიფოში თვისი სანატრელი ეკონომიური და საზოგადოებრივი ცვლილებაო.

აი ამ აზრისანი და მოძღვრებისანი არიან ის თერთმეტი დეპუტატი, რომელთაც ისე გადაჰკრა სიტყვა გერმანიის იმპერატორმა და რომელთაც ცოტად, თუ ბევრად ჩააფიქრეს აწინდელი მისი მთავრობა. „ცვლილება არის სამწუხარო ბედნიერთათვის, ბედკრულნი კი მას სიხარულით მიეგებიანო", ამბობს გულთა მხილავი შექსპირი.

მართლა და სოციალ-დემოკრატის დასმა ძალიან ფეხი გაიდგა გერმანიაში ამ უკანასკნელ სამ-ოთხ წელიწადსა. მაგალითებრ, ბერლინში 1874 წ. მხოლოდ 13,000 ამომრჩეველი იყო, რომელიც ამ დასს ეკუთვნოდა, წრეულს კი ეს რიცხვი 34,000-მდინ ავიდა. ბერლინი ექვს დეპუტატს გზავნის რეისსტაღში. ამ ექვსიდგან წელს ახალ რეისსტაღში ორი სოციალ-დემოკრატია. აქედამ ჰსჩანს, რომ გერმანიის იმპერიის სატახტო ქალაქს ამომრჩეველთა რიცხვის მესამედი ნაწილი სოციალ-დემოკრატის დასისა არის. აბა როგორ არ ჩაფიქრდეს ამაზედ ბისმარკი, ანუ თვით გერმანიის იმპერატორი?

ამ ბოლოს დროს კიდევ ერთმა გარემოებამ ბისმარკს მოსვენება დაუფთხო. ხარმან დაწესდა, რომ მთელ გერმანიაში სამსჯავრო კანონები ერთგვარნი უნდა იყვნენ და მათს მოქმედებისათვის ერთგვარნივე სამსჯავრო სასამართლოები უნდა დაწესდესო ყველა ნაწილებში. ხოლო ამ სასამართლოების უმაღლეს ერთი სასამართლო უნდა ჰქონდეს მთელს გერმანიასა საერთოდაო. წრეულ ჩამოვარდა ლაპარაკი მასზედ თუ სად უნდა იმყოფებოდეს ეს უმაღლესი სასამართლო? პრუსიას რასაკვირველია უნდოდა რომ ბერლინში ყოფილიყო (ბურთი და მოედანი გერმანიისა ხომ პრუსიისა და ბისმარკისაა), მოზავეთ საბჭომ კი გადაწყვიტა რომ ეს სასამართლო ლეიპციგში უნდა იყოსო. რეისსტაღმაც იგივე გადაწყვეტილება მიიღო. ეს სწორედ მოგახსენოთ, ვერაფერი ჯილდოა ბისმარკისათვის. ვინ იცის? იქნება ეს დასაწყისია დასასრულისა!.. ნუ თუ გერმანიის შეერთებულს იმპერიას ამით მომავალმა რაღაც ანიშნა?

— ეს მიმოხილვა, დაწერილი იყო, როდესაც მოვიდა პარიჟიდამ ამბავი, რომ ინგლისს რუსეთის წინადადება მიუღია, ჟენერალ იგნატიევის წინადადების სიგელზედ თანახმობა გამოუცხადებია და როგორც თვით ინგლისს ისე გერმანიას, საფრანგეთსა, ავსტრი-ვენგრიას და იტალიას თანხმობის ნიშნად ხელიც მოუწერიათ. მხოლოდ ამ სიგელში, როგორც იწერებიან, არც ორი თვის ვადაა დანიშნული, არც არაფერია მოხსენებული რუსისა და ოსმალოს ჯარის დაშლის შესახებ.

### კ. ზ. მ—სას.

ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩემგანს
ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას,
რომ უარ-ვჰყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის
სულის სიდაბლეს, შხამსა მტრობისას...

მე კაცთ სიკეთის მხურვალე რწმენა
ჭირში თუ ლხინში წინ მიმიძღოდა;
გული თრობილი მის წმინდა მადლით
ჭკუის ცივს თათბირს ყურჩებოდა.

ნუ მეუბნები, რომ იგი იყო
უგუნურება და ცდომილება....
ოღონდ კვლავ მომე: ის ცდომა მიჯობს,
ვიდრე უცდომი გამოცდილება!

დავკარგე იგი!.. აწ მის დამკარგავს
უმადლო, უნუგეშ მივის-და გული;
უმისოდ გული ცივია, ბნელი
ვითა სადგური გაუქმებული.

ნეტა მას ვისაც იმ რწმენის შუქი
ერთხელ მაინცა გულსა ჰფენია!
უფრო ნეტა მას ვისც სამარემდე
გულით რწმენილი გულსვე ჰშთენია!

ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩემგანს
ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას,
რომ უარ-ვჰყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის
სულის სიდაბლეს, შხამსა მტრობისას!...

***

---

## ცხოვრება და კანონი.

—

### წერილი მეოთხე.

**1865** წელსა დამტკიცებულ იქმნა და აღსრულება-შიაც მოვიდა სასოფლო მმართველობის წესდებულება. ვიდრე გავარჩევთ მას თუ რამოდენად მოუხდა იგი ჩვენს ცხოვრებასა, რამოდენად აღგვისრულა მასზედ დანდობილი იმედი, არ იქმნება მეტი, რაც შეიძლება მოკლედ, გამოვსთქვათ ზოგიერთი აზრი შინაგანს მმართველობაზედ (внутреннее управленіе) საზოგადოდ.

ყოველი სახელმწიფო, რიგიანს წესზედ ცოტად თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს. მაგალითებრ რუსის იმპერია დაყოფილია გუბერნიებათ, გუბერნიები მაზრებათ, მაზრები სოფლის საზოგადოებათ. ყოველს სახელმწიფოში ორი დიდი მდინარებაა: ერთი მთელის სახელმწიფოის საჭიროებისა და მეორე საზოგადოებისა. ეს ორივე გვარი საჭიროება ყოველს ნაწილში მომდინარეობს იმდენად მეტ-ნაკლებათ, რამოდენადაც თვით ნაწილი მეტ-ნაკლებია, განსხვავება თითქმის ამ მეტ-ნაკლებობაშია და სხვა არაფერში. ამიტომაც მთელს სახელმწიფოში, თუ თვითოეულს მის ნაწილში ამ ორ გვარის საჭიროების მზრუნველობა და გამგეობა საჭირო არის. ეგ მზრუნველობა და გამგეობა არის აუცილებელი და უსათუო საგანი ყოვლის მმართველობისა.

ქვეყნიერობაზედ მმართველობას ორ გვარი წყობა და აგებულება ჰქონია და აქვს. თუ სადმე რაიმე ცვლილება არის, მაინც არ შეიძლება რომ მმართველობა ან ერთისაკენ არ იყოს მიდრეკილი, ან მეორისაკენ. ერთგვარი მმართველობა იგია, სადაც სახელმწიფო საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც ყველგან და ყოველს ნაწილში. ამ შემთხვევაში მთავრობა ყოველ გვარის საქმის დამწყობი და მოთავეა, ყოველგვარის საქმის მწარმოებელია, ყოველის მზრუნველი და გამგეა, ასე რომ ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის. ამ გვარად გამგეობისათვის მას თავისი საკუთარნი მოხელე-კაცნი ჰყავნან, რომელთაც თვით ირჩევს, თვით ნიშნავს, თვით გადააყენებს და რომელნიც მხოლოდ მის წინაშე არიან პასუხის მგებელნი. ამ გვარს მმართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან.

მეორე გვარი მმართველობა იგია, სადაც მთავრობას ხელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოის საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს თვისი ადგილობრივი საქმენი აქვსთ ხელ შეუვალათ მინდობილნი. ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხის-მგებელნი არიან. ამ გვარს გამგეობას თვით-მმართველობას (самоуправленіе, децентрализація) უწოდებენ, რადგანაც ამ შემთხვევაში თვითეული ნაწილი ერთისა და იგივე სახელმწიფოისა თავის საკუთარს საქმეს თვით ჰპატრონობს, თვით უვლის და თვით ჰმართავს. ერთის სიტყვით ამ გვარის მართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდეს.

ამ გვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილ დღეობასა; ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალხის უღვიძებს და საზოგადო საქმი-მისათვის ჰსწვრთნის და ავარჯიშებს. ამ გვარი მმართველობა ისეთის თვისებისაა, რომ, სადაც კი სურს ადამიანს, ყველგან და ყოველს ხალხში იხეირებს და ჩვეულებრივს ნაყოფს მოიტანს. იქ, სადაც მაგას გზა და ადგილი ჰქონია, ყველგან ცხოვრება ადამიანისა აუყვავებია და მთავრობისათვისაც მძიმე ტვირთი ქვეყნის გამგეობისა შეუმსუბუქებია, აუსხნია.

ერთი მწერალი ამბობს: „ისტორია ამტკიცებს, რომ თვით-მმართველობა უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა. სადაც უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს: ინგლისშიაც, სადაც დიდ-კაცობაა (аристократія) ყოვლის წყობის საფუძველი, ამერიკაშიაც, სადაც განუსაზღვრელი თანასწორობაა მიღებული სახელმწიფოს ქვა-კუთხედათ. ერთნაირის სიკეთით და მადლით მოქმედებს და თავსდება იქაც, სადაც იმისთანა პატარა ქვეყანაა, როგორც შვეიცარია (739 ოთხ-კუთ. მილია) და იქაც, სადაც იმისთანა უზარ-მაზარი უდაბნო მინდვრებია, როგორც ჩრდილო-ამერიკაში. იქაც კეთილად განწყობილი და შეთვისებულია სადაც იმისთანა სახელოვანი განათლებაა, როგორც ლონდონში და იქაც, სადაც იმისთანა ველური ხალხია, როგორც კანადაში, ავსტრალიაში და სხვა ინგლისის კალონიებში.“

თუმცა ესეა, მაგრამ მაგ თვით-მმართველობას ქვეყანაზედ ბევრი მტერი ჰყავს; ბევრს უფრთხობს ტყუილ-უბრალოდ ძილსა და მოსვენებასა. ამბობენ, რომ საშიშარიაო საზოგადოებას ეგ უფლება მიენიჭოსო; აურზაურს მოჰყვება, თავს გაიზვიადებს და მორჩილებიდამ გამოვაო.

როცა პრუსიამ წაართვა საფრანგეთს ელზასი და ლოტარინგია და პარლამენტში ჩამოვარდა საუბარი მასზედ თუ რა გვარი მმართველობა მივცეთო ამ ახლად დაჭერილს ქვეყნებს, ბისმარკმა აი რა ჰსთქვა: „ჩვენი საქმე ელზასსა და ლოტარინგიაში თვით-მმართველობის განძლიერება უნდა იყოსო. ადგილობრივნი საზოგადოების კრებანი უნდა დავაწყოთო ადგილობრივის მმართველობისათვისაო. ამ კრებათაგან უფრო უკეთ გვეცოდინება იმ ქვეყნების საჭიროება, ვიდრე პრუსიის მოხელეთაგანა (ЧИНОВНИКЪ). ადგილობრივთა მცხოვრებთაგან ამორჩეულნი და დაყენებულნი მოხელენი ჩვენთვის არავითარს შიშს არ მოასწავებენ. ჩვენგან დანიშნული მოხელე კი მათთვის უცხო კაცი იქნება და ერთი ურიგო რამ ჰქცევა უცხო კაცისა უკმაყოფილებას ჩამოაგდებს და ეგ მთავრობის განზრახვასა და სურვილს არ ეთანხმება. მე უფრო ისა მგონია, რომ მათგან ამორჩეულნი მოხელენი უფრო ცოტას გვავნებენ, ვიდრე ჩვენივე პრუსიის მოხელენი.“

თუ იმისთანა კაცი როგორც ბისმარკი, რომელიც თავისუფლების დიდი მომხრე მაინცა და მაინც არ არის, ასე იღვწოდა თვით-მმართველობისათვის, — მერე იმ ქვეყნების შესახებ, რომელთაც გერმანიის მორჩილება არამც თუ უნდოდათ, არამედ ეთაკილებოდათ, თუ ამისთანა რკინის გულისა და მარჯვენის კაცი, როგორც ბისმარკი, სხვა გზით ვერ ახერხებდა ურჩის ხალხის გულის მოგებას თუ არ თვით-მმართველობის მინიჭებით, სხვას რაღა ეთქმის.

ამ თვით-მმართველობის დადგენისათვის ყველაზედ ძნელი იმ ზომის პოვნაა, რომლითაც საერთო სახელმწიფო საჭიროების საქმენი მიეზომება ხოლმე სახელმწიფოს მთავრობასა და საზოგადოებრივი კი ადგილობრივ საზოგადოებასა. ამ ორთა შუა ნამდვილის საზღვარის პოვნაც ძნელია, იმიტომ რომ თვით ბუნებითად ამ ორივე საჭიროების მაგვარი ერთი ერთმანეთში ჩართულ და გადაბმულ არიან თუ ყოველსფერში არა, ბევრში მაინცა. მაგრამ თვით-მმართველობის საქებარად ეს კი უნდა ვჰსთქვათ, რომ აქ გადამეტებულსა თუ არ სარგებლობა, ისეთი ვნება მაინც არ მოსდევს, როგორც მას, როცა სახელმწიფოს მთავრობას გარდამეტებულის ზომით დაუჭერია ცხოვრებაში ადგილი. ღირსება და სიკეთე შინაგანის მმართველობისა ჯერ იმაზედ არის დამოკიდებული, რომ განაწილებულია თუ არა სახელმწიფოსა და საზოგადოების შორის მათდამი კუთვნილ-

თა საქმეთა გამგეობა და, თუ განაწილებულია, როგორ და რამოდენის სიმართლით არის ეგ მომხდარი! უთუოდ შინაგანის მართებლობის ღირსება და სიკეთე ამ სასწორით უნდა აწონილ იქმნას.

(შემდეგი იქნება)

---

## მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელმწიფოთათვის

**დიდი ბრიტანია ანუ ინგლისი.**—ევროპის დასავლეთის მხარეს მდებარეობს ორი კუნძული, რომელნიც ატლანტიის ოკეანეში უდიდესნი არიან და რომელთაც უწოდებენ დიდ-ბრიტანიას. ამ ქვეყანას უჭირავს სამი სამეფო: ინგლისი, შოტლანდია და ირლანდია. ეს სამივე შეერთებულ არიან ერთის სკიპტრის ქვეშ, ამიტომაც დიდ ბრიტანიის გარდა ზოგჯერ შეერთებულ სამეფოთაც ისხენიებენ, მაგრამ უფრო ხშირათ კი—ინგლისს უწოდებენ.

დიდ ბრიტანიის ორივე კუნძულს ერთად აქვს ათასამდე ოთხ-კუთხე მილი ხმელეთი უჭირავს და ამ ადგილზე ოცდა თორმეტ მილიონამდე მცხოვრებია დასახლებული.

გვარ-ტომობით დიდ-ბრიტანიის ხალხი ანგლო-საქსონის ტომისაა რომელიც ენათესავება გერმანიელთა ტომსა. ინგლისური ენა წარმოსდგა ძველებურ-გერმანიელების ენიდამ, ხოლო დროთა მიმდინარეობით შეიცვალა და მრავალნი ფრანციელნი სიტყვანი შეიმატა და ითვისა.

დიდ-ბრიტანიის ხალხი განიყოფება სამს ნაწილად: გლისნი—ოცდა სამი მილიონია, შოტლანდიელნი—ში მილიონი და ირლანდიელნი—ხუთ მილიონ-ნახევა-ი.—სახელმწიფო სარწმუნოებათ ანგლიკანის სარწმუ-ებაა აღიარებული. ეს სარწმუნოება, რომელიც თავი-ს დოღმატებით ლიუტერის და კათოლიკეთა სარწმუ-ოების შუა ადგილი უჭირავს, გავრცელებულია ერთობ ნგლისში და 18 მილიონ-ნახევარ სულსა სწამს; შოტ-ანდიაში პრესვიტერიანის სარწმუნოებისა ითვლება ვიდ-მილიონ-ნახევარი სული და ირლანდიაში კი თითქმის ველანი კათოლიკენი არიან.

თუმცა დიდ-ბრიტანიის კუნძულნი ბუნებით ღარიბ-ი არიან, მაგრამ არც ერთს ხალხს დედა-მიწისას დღე-ანდლამდე არ მიუღწევნია ინგლისის ხალხის სიმდიდ-რემდე. მიწით ღარიბმა, გარშემო ზღვით დამწყვდეულმა, ისლით და ბურუსით მზის შუქს მოკლებულმა, აგრამ გონიერმა, მხნემ და თავისუფალმა ხალხმა მხოლოდ თავისის შრომით და გამბედაობით შეიძინა უთვალავი სიმდიდრე, უპირატესი ადგილი დაიჭირა სხვა ევროპის სახელმწიფოთა შორის, სული იგდო და დაიმორჩილა თვალ-უწვდენელნი მიწანი აზიას, ამერიკას, აფრიკას და ავსტრალიაში, ასე რომ დიდ-ბრიტანიის გარედ ასს მილიონზედ ბევრად მეტი ქვეშევრდომი ჰყავს, მთელი ინდოსტანი თითქმის ხელთ უპყრია. ღარიბი მიწა ინგლისის ხალხის მხნეობამ ნაყოფიერ სახნავ-სათესად და მინდვრებად გადააქცია. ამჟამად მოიპოვება ევროპაში უკეთესად შემუშავებული მიწა და ინგლისის პირუტყვთ მოაშენება ხომ სამაგალითოა. ამის გარდა ინგლისელებმა მოიპოვეს ულეველი სიმდიდრე დედა-მიწის გულში: ქვანახშირი, რკინა და სხვა მადნეულობა მრავალი აქვს. გარშემორტყმული ზღვა-ოკეანე ინგლისის ერთობის და დამოუკიდებლობის ზღუდეთ შეიქმნა მტრისა წინაშე, ხოლო თვით ინგლისმა კი ეს ზღვა თავისის აღებ-მიცემობის და მეტლობელობის შარა გზათ გამოიყენა.

ინგლისის მდიდრეს და კეთილ-დღეობას, მისი ძლიერი და ზნეობითი ძალა—უქმნა ეს ინგლისელთა თავისუფლების მედეგი და ნაყოფია. თავისუფლების სიყვარული, თვით-მმართებლობის (self governement) ჩვეულობა,—აი ინგლისის სახელმწიფოს მტკიცე დედა-ბოძი. ამ დედა-ბოძზედ დადგენილი სახელმწიფო წყობა თვითეულს ინგლისელს სრულსა და ხელშეუვალს ღონისძიებას აძლევს თავისი თვით-მოქმედება, მხნეობა, ნიჭი და ძალა მოიხმაროს თავისის მიდრეკილობის დაგვარად. ესე ადამიანის კეთილ-დღეობისათვის აუცილებელნი საჭიროებანი, ხალხისათვის მინიჭებულნი, ხალხს ბედნიერების გზას უხსნიან და ხელს უწყობენ.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ ინგლისის სახელმწიფოსა აქვს თავისი ტკივილიცა.

რასაკვირველია თვითეულთა ინგლისელთა სიმდიდრე ერთად აღებული მთელის ინგლისის სიმდიდრეა, ხოლო ერთობ ხალხის კეთილ დღეობისათვის ეგ სამყოფი არ არის; საქმე იმაშია თუ როგორ არის ეს სიმდიდრე საყოველთაოდ განწილადებული. შეიძლება ხალხის სიმდიდრე ერთობ მცირე იყოს, მაგრამ კაცთაშორის ცოტად თუ ბევრად თანასწორად იყოს გაყოფილი, ასე რომ თვითეულს კაცს თავისი საკმარისი ჰქონდეს. შეიძლება კიდევაც სიმდიდრე დიდი იყოს და თანასწორად არ იყოს განწილადებული, ასე რომ ერთს უხვად ჰქონდეს და მეორე სრულად ხელ-ცარიელი იყოს. ეს უკანასკნელი მაგალითი ე. ი. სიმდიდრის უთანასწოროდ განაწილება, ღარიბთა და მდიდართ შორის რისხვისა, შფოთის, მტრობისა და შურის დამბადი, ინგლისში უფროა, ვიდრე სხვაგან სადმე. ეს არის

ის ტკივილი, ის სენი, რომელიც ინგლისის კეთილ-დღეობას მუქარას უწევს. ამ უთანასწორობის გამო ინგლისში ერთის მხრით უთვალავი სიმდიდრე და ქონებაა მოძრავი თუ უძრავი და ამისაგან წარმომდგარი განათლება, დიდება და ძალა; მეორეს მხრით საშინელი სიღარიბეა და მისგან წარმომდგარი უმეცრება, გარყვნილება და ბიწიერება!—გონიერნი და გამბედავნი ინგლისელნი კარგათა გრძნობენ ამ საშინელს ტკივილსა, კარგათა ხედვენ რაც მოუდგება ამ სენსა და ყოველს მეცადინეობას ხმარობენ მოიპოვონ რაიმე სახსარი, რათა მოისპოს ეს საზოგადო საშიშარი სნეულება, რადგანაც წინადვე ცნობილი აქვსთ, რომ ამ სნეულების აცილებაზედ დამოკიდებულია ინგლისის შინაგანი გამძლეობა, მშვიდობა დაზედი.

ეს აუარებელი სიმდიდრე ერთის მხრით და დაუჯერებელი სიგლახაკე მეორეს მხრით ინგლისში იქიდამ წარმოსდგა, რომ მთელი ინგლისის მიწა ხალხის მცირე ნაწილმა გაისაკუთრა და უმრავლესობა, ესე იგი, გლეხობაკი უმამულოდ დარჩა. სოფლად ცხოვრების სახსარს მოკლებული უმამულო მუშა ხალხი დიდ-ქალაქებში შეგროვდა ლუკმა პურის მოსაპოვებლად და ის გულსაკვდავი, საშინელი სიღატაკე მთელის თავისის სასოწარკვეთილებით და ჯოჯოხეთით ამ მუშა ხალხს დაეწია. ეს მუშა-ხალხი დიდ-ქალაქებში მოგროვილნი ქარხნებში მუშაობისათვის იბრძვიან, რომ ამით მაინც როგორმე მოიპოვონ ლუკმა პური. ზოგჯერ ამ სამუშაოსაც ვერ შოულობენ.

არც ერთი ქვეყანა არ შეედრება ინგლისს ხელოსნობასა და სარეწაობაში,—მთელი ხმელეთის ხალხი ინგლისის მუშტარია. რასაკვირველია დიდძალს წარმოებას ბევრი მუშა-კაციც უნდა, *) მაგრამ ის მასალა, რომლის შემუშავებისთვისაც მუშა-კაცია ქარხანაში საჭირო, ის მასალა თვით ინგლისს თავისი არა ჰყოფნის და იძულებულია სხვა ქვეყნებიდამ შემოზიდოს. წარმოიდგინეთ ახლა რომ ომისა, მოუსავლობისა ანუ კიდევ სხვა შემთხვევის გამო, ეს სამუშავო მასალა ინგლისს მოაკლდა, ანუ ვერ შემოზიდა,—ცხადია რომ მასალა მოკლებული ქარხანა დადგება და ქარხნის მუშა ხალხი უსაქმოდ დარჩება და მაშასადამე უპუროდაც. ეს მოხდა მაგალითებრ, 1865 წელს, ამერიკის ომის დროს, როდესაც ამერიკაში ბამბის მოსავალი მეტად ნაკლებათ მოვიდა, და ამისგამო ინგლისში მრავალი ქარხანა დადგა. **)

ამ ხალხის სიღარიბის აცილებისათვის ინგლისმა დიდი ხანია მოიგონა ერთი ძლიერი საშუალება—უცხო ქვეყნებში გადასახლება, სადაც მიწა უფრო მსუქანია და ბუნება უხვი. ამ გვარ მამულის დატოვებას და სხვა ქვეყანაში გადასახლებას ჰქვიან კ ო ლ ო ნ ი ზ ა ც ი ა. ყოველ წლივ დიდ-ძალი ხალხი გადის ინგლისიდამ სხვა და სხვა ქვეყნებში, იკეთებს ბინას და სადგურს, იმენებს კოლონიებს ველურს ხალხთა შორის აფრიკას, ამერიკას, ავსტრალიას და აზიაში, და ამგვარად ინგლისის მფლობელობას და აღებ-მიცემობას გზას უხსნის დაავრცელებს. ესრედ დაიწყო და დაარსდა მე-XVII საუკუნეს ამერიკის კოლონია, რომელიც მე-XVIII საუკუნეს გამრავლებული და გაძლიერებული, განთავისუფლდა ინგლისის ქვეშევრდომობისგან და დაამყარა სახელმწიფო, ამერიკის შეერთებულ შტატებათ წოდებული. ინგლისის ჭეშმარიტი ძლიერება და სიმდიდრე უფრო კოლონიებზედ არის დამყარებული. დედა-მიწის ზურგზე მოფენილნი ეს კოლონიები უგზავნიან ინგლისს სამუშაო მასალას და ამ მასალას, ინგლისის ქარხნებში საუცხოო საქონლად გარდაკეთებულსა, თვითვე კოლონიები ყიდულობენ და ამით ავრცელებენ ინგლისის ვაჭრობას და გავლენასა.

ამ კოლონიების მეოხებით ინგლისს, რაც თვითონ დიდ-ბრიტანია არის, იმაზედ ორმოცდა შვიდმეტ ჯერ მეტი ადგილი უპყრია ქვეყანაზედ და რაც თვითონ ხალხი ჰყავს დიდ-ბრიტანიაში იმაზედ ექვს ჯერ მეტი ქვეშევრდომი კოლონიებში უსახლია.

უცხო ქვეყნებთან და კოლონიებთან აღებ-მიცემობისთვის ინგლისი ოცდა შვიდმეტი ათასს ხომალდს და ცეცხლის გემს სხვა და სხვა ზღვებში ამუშავებს და ამ ხომალდზე ორას ათასამდე მენავე ჰყავს. 1875 წ. ინგლისში ორი ათას ხუთას მილიონ მანეთის საქონელი შემოზიდულა და ორი ათას მილიონ მანეთისა გატანილა.

სახელმწიფო შემოსავალი ოთხი ათას სამოცდა ორი მილიონი მანეთი აქვს, გასავალი—ამაზედ ცოტა ნაკლები.—სახელმწიფო ვალი—ხუთი ათას რვაას მილიონ მანეთია.

ინგლისის ჯარში შესული ჯარის-კაცი ვალდებულია ექვსი წლიწადი მომქმედ ლაშქარში იმსახუროს და ექვსიც რეზერვში. თუ ჯარის კაცი ამას გარდა ათს წლიწადს კიდევ იმსახურებს, სამუდამოდ ჯამაგირს (პენსია) მოიპოვებს. ინგლისის ჯარში ირიცხება ექვსას ათასზედ მეტი მხედარი და სახელმწიფოს ეს ლაშქარი ყოველ წლივ ორას მილიონამდე მანეთი უჯდება. სამხედრო ხომალდი ორას ორმოცდა თორმეტია.

*) მარტო ბამბეულობის კეთებას ერთ მილიონამდე მუშა-ხალხი უნდება.

**) ინგლისის მუშა ხალხის ბედს კიდევ სხვა მიზეზიც უხლართავს გზას, და ამის თაობაზე ბევრი რამ შესანიშნავი თქმულა და დაწერილა, ხოლო ამ საგანზე მეტი საუბარი ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლიან, რადგანაც ამ წერილს ამის გარდა კიდევ სხვა დანიშნულებაცა აქვს.

ეხლანდელი ინგლისის დედოფალი ვიქტორია I ინგლისის, შოტლანდიის კოროლათაც სახელ-წოდებულია და ინდოეთის იმპერატორათაცა. თუმცა ყველა კანონდებულება და განკარგულება კოროლის სახელით გამოიცხადების და კოროლის მიერ უნდა იყოს დამტკიცებული, მაგრამ ნამდვილად სახელმწიფოს მმართვა პარლამენტისა *) და მინისტრთა კრების (კაბინეტი) ხელშია.

კანონდებლობითი უფლება ეკუთვნის ორს პალატს, რომელთაც ერთად უწოდებენ პარლამენტს, ხოლო პარლამენტის განაჩენის აღმასრულებლად მინისტრთა კრებაა, რომელსაც მინისტრთა კაბინეტი ჰქვიან.

დიდ-ბრიტანიის პარლამენტი განიყოფება ორს პალატად: დიდებულთა ანუ ლორდთა პალატი და ხალხის წარმომადგენელთა ანუ დეპუტატთა პალატი. *) ლორდთა პალატს შეადგენენ ინგლისის კეთილ-შობილთა გვართა მოთავენი (ეს უფლება ლორდებს სამუდამოდ აქვსთ მინიჭებული და მამიდამ შვილზედ გადადის), პირნი დანიშნულნი კოროლის მიერ, ეპისკოპოსნი, ირლანდიის ლორდნი (29 წევრი) და შოტლანდიის ლორდნი (16 წევრი) სულ — 478 წევრია. დეპუტატთა პალატში სხედანხალხის წარმომადგენელნი შვიდი წლის ვადით ამორჩეულნი. ამ პალატში საკუთრად ინგლისის დეპუტატი ოთხას ოთხმოცდა ცამეტია (493), შოტლანდიისა სამოცი, და ირლანდიის ას ხუთი, სულ პალატში ექვსას ორმოცდა ცამეტი წევრია. ამა რიცხვებიდამ ცხადად სჩანს რომ ორივე პალატში წევრთა სიმრავლე ინგლისის მხრივ არის. დეპუტატის ამორჩევის უფლება ყველა დიდ-ბრიტანიის ქვეშევრდომს არა აქვს. მოქალაქეთა მაშინ აქვთ არჩევანის უფლება, თუ ქალაქის ადგილას ერთი წელიწადი მაინც უცხოვრია, სახლი ჰსჭერია ამ ხანის განმავლობაში, ან საკუთარი ან ქირით, წელიწადში შვიდ თუმნიანზედ არა ნაკლებ და სახლის დაწესებული ხარჯი უხდია. თუ სოფლად მცხოვრებია, მას უნდა ჰქონდეს ან საკუთარი უძრავი ქონება, ან იჯარით აღებული სამოცის წლის ვადაზედ არა ნაკლებ, და ამ საკუთარს თუ იჯარით აღებულს მამულს უნდა შემოსდიოდეს, სახელმწიფო გარდასახადისა და ხარჯის გარდა, ოცდა შვიდმეტი მანეთი მაინცა ყოველ წლივ. აქედამა სჩანს რომ ღარიბი ხალხი ინგლისში არჩევანის უფლებას მოკლებულია, რომ მათ თვისის სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეობა არა აქვსთ. 1872 წლამდე კენჭის ყრა დაფარული არ იყო, მას შემდეგ კი, ახლად დადგენილის კანონის მალით, დაფარულია. ყოველი ქვეშევრდომი დიდ-ბრიტანიისა ოცდა ერთის წლისა შესრულდება თუ არა, შეიძლება დეპუტატად ამორჩეულ იქმნას, მხოლოდ აკრძალულია ამორჩევა მღვდლისა და ფინანსთ სამინისტროს მოთანამდე პირთა. პარლამენტის წევრი კანონის წინაშე ხელშეუხებელია, არავის შეუძლიან მისი დატუსაღება, თუ არ პარლამენტის ნება-რთვით. არა დეპუტატი არავის წინაშე პასუხის მგებელი არ არის მასზედ, რასაც წარმოსთქვამს პალატში. ყოველს წევრს ლორდთა პალატისა უფლება აქვს პირდაპირ მოახსენოს კოროლს თავისი აზრი, ხოლო დეპუტატთა პალატის წევრს ეგ უფლება არა აქვს, მას შეუძლიან მიჰმართოს ხელმწიფეს მხოლოდ თავისის პრეზიდენტის პირით და შუამდგომლობით. თუმცა პარლამენტების შეყრა და დათხოვნა კოროლის ნებაზედ დამოკიდებული, მაგრამ კოროლი ვალდებულია შვიდ წელიწადს ერთხელ მაინც უსათუოდ შეჰკრიფოს ორივე პალატი. პარლამენტი ირჩევს ხუთს მინისტრს, რომელთაც მიანდობს თავისს განაჩენის აღსრულებას და რომელნიც პასუხის მგებელნი არიან პარლამენტის წინაშე. ეს მინისტრები და ხუთი კიდევ სხვა კოროლის მიერ დანიშნულნი შეადგენენ უმაღლეს მთავრობითს კრებას, რომელსაც მინისტრთა კაბინეტი ჰქვიან. თუ პალატის უმრავლესობა დაუწუნებს სამინისტროს რომელსამე წინა-დადებას ანუ საქციელს და ამით თვის უკმაყოფილებას გამოაცხადებს, მაშინ სამინისტრო იძულებულია თანამდებობიდამ გადადგეს და ახალს სამინისტროს დაუთმოს თვისი ადგილი.

პარლამენტს აქვს უფლება: ახალნი კანონნი დააწესოს, ან უწინდელნი შეჰსცვალოს, სრულადაც გააუქმოს ყოველგვარის საქმეების შესახებ, საერო იქნება, თუ სასულიერო თუ სამხედრო. ყოველ პარლამენტის წევრს, ლორდთა თუ დეპუტატთა პალატისას და თვით კოროლს აქვს უფლება რაიმე კანონის ანუ განკარგულების წინადადება შეიტანოს პარლამენტში. ყოველივე წინადადება ჯერ უსათუოდ დეპუტატთა პალატაში უნდა შეიტანონ. პალატაში შემოტანილი წინადადება სამჯერ უნდა წაკითხულ იქმნას. პირველის წაკითხვის შემდეგ წინადადებას ჰბეჭდვენ და პალატის წევრთ ურიგებენ. მას შემდეგ მეორედ კითხულობენ და ამ მეორედ წაკითხვაზედ ბაასსა და სჯას გამართვენ. თუ პალატი საჭიროდ დაინახვს, ნიშნავს კომისიას წინადადების უფრო დაახლოვებით და დაწვრილებით გარჩევისთვის. როცა კომმისია შეასრულებს თვისდა მინდობილს საქმეს, მაშინ წინადადებას მესამედ კითხულობენ პალატის წინაშე და ბაასის და ბჭობის შემდეგ წინადადებას ან მიიღებენ ან უარ-ჰყოფენ. დეპუტატთა პალატში მიღებულს წინადადებას ჯერ

---

*) პარლამენტი, Parlement, ქართულად საბაასოს, საბჭოს ნიშნავს.

*) ლორდთა პალატს კიდევ ზედა-პალატს უწოდებენ და დეპუტატთა პალატს ქვედა პალატს.

მაინც კანონის ძალა არა აქვს ვიდრე ლორთა პალატიც არ მიიღებს. ორივე პალატით მიღებული წინადადება კოროლს უნდა წარუდგინონ დასამტკიცებლად და მხოლოდ კოროლის დამტკიცების შემდეგ წინადადებას კანონის ძალა მიეხიჭება. მართალია თუმცა კოროლს აქვს უფლება პარლამენტის წინადადება არ დაამტკიცოს, მაგრამ ეს მეორე საუკუნეა რაც ამისთანა შემთხვევა დიდ-ბრიტანიაში არ მომხდარა. კოროლს კარგად ესმის რომ ხალხთა წარმომადგენლობის წინააღმდეგობა ამაოა და თავის თავს ნებას არ აძლევს რომ რომელიმე მისი წინადადება უარ-ყოს.

პარლამენტი ამასთანავე უმაღლესი სამსჯავროა დიდ ბრიტანიის სახელმწიფოისა. კოროლს შეუძლიან მისგან დასჯილს პირს მსჯავრი აპატიოს და ახსნას, მხოლოდ ამაშიაც კი პარლამენტს უნდა დაეკითხოს.

---

## ქალაქის სცენები

ერთის დღის აღწერისა 1876 წ.

### IV *)

(ღამეა. ასწერი დაკეტილ კარს აკაკუნებს)

(შინიდამ) ვინ არის?

— გააღეთ. აღმწერლები ვართ.

— ვინ აღმწერლები?

— გააღეთ და მოგახსენებთ.

(შინ კარებთან ჩოჩქოლია)

— ვინ აღმწერლები ხართ? არ გიცნობთ.

— გაგვიღეთ, და მოგახსენებთ.

— კაი კაცები იყოთ, ღამე არ ივლით. დაიკარგეთ საიდამაც მოთრეულხართ, თქვე ძაღლო, ძაღლის გვერდებო!

— მთავრობის დანიშნული კაცები ვართ, ყველა სახლი უნდა ავწეროთ.

— მთავრობას ჩვენთან რა საქმე აქვს? ვალი არა ვისი გვმართებს და ხარჯი შეგვიტანია. გასწით დაიკარგენით! ქურდ-ბაცაცობაზე დადიხართ, ახლა ეგ მოგიგონიათ?

— გაგვიღეთ კარი! გეუბნებით, პატიოსანი კაცები ვართ, თორემ პოლიციას მოვიყვანთ.

(ჩოჩქოლი და წივილია) ვუი დამიდგა თვალი.

— ნუღარ გვაყენებთ. გაგვიღეთ, თორემ აღარ მოვიცდით.

(აღებენ კარს. ერთს დედა-კაცს გული მისდის)

— ვინა ხართ, თქვე ღვთის მტერებო, რა გინდათ?

— ბატონო, ნუ სწუხართ, გული მოიბრუნეთ. ერთ წამზე გავალთ, არაფერს დაგაკლებთ; ქრისტიანი ადამიანები ვართ.

— ვუი გული... წყალი... მიშველეთ! ეს რა ამბავია ჩვენთავს!

— გული მოიბრუნე ქალოჯან, ჩემო რძალო! დალიე წყალი, პირი გაალე, რა დაგემართა! ქურდები არ არიან, ჩინოვნიკები არიან.

— ბატონო, ნუ სწუხართ, თქვენ შესაწუხებლათ არ მოვსულვართ. ჩალის ოდენა ამ სახლს არაფერი არ დააკლდება.

— ვიშ! მე კი გული გამიხეთქეთ და!

(შემოდის ოჯახის პატრონი)—რა ამბავია? რა ამბავია ჩვენ თავსა? ეს ვინ არიან აქა?

— ვიშ, შვილო. აი შენ ცოლს გული წაუვიდა. ეს ვიღაებიც მოვიდნენ, ჩაგვიდგნენ კარებში, პოლიციას მოვიყვანთო, დასწყევლა ამათი თავი.

— ქალოჯან, დედა-კაცო, გული მოიბრუნე. —

— კარგათა ვარ, ეხლა გული მომიბრუნდა. ერთი მითხარით, ეს ვინ არიან?

— ერთი მიბძანეთ თქვენ ვინა ხართ, ღამე სახლ'ში მოვარდებით, ჰა?

— ჩვენ დანიშნულები ვართ, რომ ავწეროთ ქალაქის ყველა სახლები და ყველა ხალხი.

— აი კამერალიას რო ამბობენ რაღასაცა?

— ჰო, ის გახლავს.

— ძალიან კარგი და პატიოსანი. მაგრამ, განა ეგრეც არის, რომ დედა-კაცებთან ღამე სახლში მივიდნენ?

— დიახ, ესეც გახლამს.

— მაგრე მაშა? ახლა ეს ჩემი ცოლი რომ, უკაცრავათ არ ვიყო, ფეხ მძიმეთ ყოფილიყო და ერთი რამე მოსვლოდა, პასუხის გამცემი ვინ იქნებოდა?

(ცოლი ტირის)

— აი თქვენი კი...კი...ახ, რა ვთქვა! დაყუჩდი დედა-კაცოჯან; ფიქრი ნუ გაქვს.

— არა, პოლიციაო! გული გამიხეთქეს და!

— ახლა ბძანეთ, რა გნებავთ ჩემგან?

— თქვენი სახელი, გვარი და ხელობა.

— გიორგი სიმონასძე ხანჯალოვი; მკერვალი ვარ.

— რამდენი წლისა ხართ?

— რამდენისა ვარ? ჰა? რამდენისა? მოითმინე, ჩემ ცოლს უნდა ახსომდეს. ეი ჩემო დედა-კაცო, მე რამდენი წლისა უნდა ვიყო; ერთხელ რომ ვიანგარიშეთ, არ გახსომს?

— არა. მე არ მახსომს, იქნება დედას ახსომდეს.

— კარგა კი არ მახსომს, მაგრამ ისე ანგარიშით კი ეხლავე შეიტყობთ. ჩემო რძალო, ჩვენი მღვდელი რო მოკვდა რამდენი წელიწადია.

— რომელი მღდელი?

— აი ქა, რამ დამავიწყა, ათანასე მღვდელი.

— ათანასე მღვდელი აგერ რვა-ცხრა წელიწადი იქნება.

— ის იტყოდა, რომ ჩემი ქორწილის წელიწადს დაიბადაო, და მე რომ ცოლი შევირთე, ოცდახუთი წლისა ვიყავიო.

— აბა ახლა დედი, რომელ წელს დაბადებულა?

— ეგ არ ვიცი.

— არა; რამდენი წლისა იყო რო მოკვდა?

— ვერც მაგას მოგახსენებთ. ეს კი მახსომს იტყოდა, ყეენობის უკან,—აღარ მახსოვს, ცხონებული როგორ იტყოდა,—ესე სამ-ოთხი წელიწადს გაუვლია, რომ მე დავბადებულვარო.

— ბატონო, მე რა ვიცი. ყეენი როდის მოსულა?

— ქა, ნასწავლ კაცსა გავხარ, ასე მგონია ყველა იცი მეთქი. თუ კი პოლიციის მოყვანა შეგიძლია, მაგას კი ვერ იკითხამ პოლიცაში? იქ ეცოდინებათ.

— ეჰ, როგორაც ვხედამ, სჯობს ყეენობასა და პოლიციას თავი დავანებოთ. ისე, ვარაუდით, რამდენი წლისა იყოთ?

— აკი მოგახსენეთ. სწორე ანგარიში თუ გნებავთ, ეს იყო; და თუ ნასწავლი ბძანდებით, ჩოტკი ჩააგდეთ და გაიგებთ.

— ეჰ, შე დალოცვილო! მოკლეთ თქვით და გაათავეთ.

— ასე ვიქნები...ჰა, დედი? ორმოცდა ათისა, არა? მგონია, მეტისა არ ვიყო.

— არა, შვილო. არც კი იქნები.

— რამდენი შვილი გყავთ?

— ოთხი შვილი მყავს, ოთხიც მომიკვდა სულ რვა შვილი მყოლია, რაც ჯვარი დამიწერია. ჯინშიანი გვარია ჩვენი გვარი, სხვებსავით ლორის ჯინშს კი არა გავს, წელიწადს რომ არ აალდენენ.

— რამდენი წლისანი არიან?

— ეგ კი დედამ ჩემმა კარგა ნამდვილათ იცის. აბა დედი შენა თქვი.

— აბა ბძანეთ, გახსომთ ამათი დაბადება!

— მახსომს, შვილო. როგორ არ მახსომს. თითო კოჭობი და ლობიო ხომ არ გაწყვეტილა.

— არა, ბატონო! მე ყმაწვილების წლოვანობასა გკითხავთ. ლობიოსა და კოჭობს აქ რა საქმე აქვს?

— მოითმინე და გაჩვენებ. (გადის და კოჭობები მოაქვს).

— აი ამ კოჭობში მეტი ლობიოა, ეს უფროსისაა, აბა დავთვალოთ: ერთი, ორი, შვიდი, ათი, თვრამეტი, ცხრამეტი...ცხრამეტის წლისაა. აი მეორეც დავთვალოთ: ერთი, ხუთი, ცამეტი, ცამეტისაა, ახლა მესამე ეს ცხრისაა; მეოთხე ოთხისა. კარგა მოგახსენეთ ხომა?

— კარგი მოგონებაა. ახლა რამდენი შვილიცა გყოლიათ, თითოსთვის აგრე კოჭბები გაგიმართავთ?

— ყველა შვილებისთვისა, მაშ როგორ უნდა? დადგება ახალ წელიწადი და თითო კოჭობში თითო ლობიოს ჩავაგდებ.

— თაგვმა რომ შესჭამოს, რაღას იზამთ?

— ქა, იქნება მართლა! ხან და ხან რომ პირლია ვაგდებთ! ეგ კარგა მამაგონეთ, ახლა სიპის ქვას დავხურამთ.

— დედი, თქვენ რამდენი წლისა ბძანდებით?

— იჰ, კარგია, დედა-შვილობას, ხუმრობა!

— არა, ბატონო, უნდა ჩაგწეროთ.

— რა ჩასაწერი ვარ, დედა-შვილობას? ვის რათ უნდივარ?

— არა, მაიც საჭიროა.

— რა მახსომს, რამდენი წლისა ვარ? ამდენი ვაი ვაგლახი მინახამს, რომ თავში აღარაფერი დამრჩენია. ასეთი დღეები გამომივლია, რომ დიდ მარხვაში ორჯელ ზეთის ხილი არ მიჭამია და თუ მიჭამია თითოსთვის შვიდჯერ მაინც მიკბენია.

— სამოცდა-ათის წლისა ხომ იქნებით?

— არა, დედა-შვილობამ. ბევრი ვიყო, ბევრი ვიყო—სამოცისა.

— მაშ, თქვენ შვილზე ათის წლით დიდი ყოფილხართ?

— იქნება არც კი ვიყო! ცხრა წლისა ვიქნებოდი, რომ ჯვარი დამწერეს.

— მაშ ათის წლისას შვილი მოგცემიათ! ეს როგორ შეიძლება?

— დედა-შვილობამ, აქ ერთი მეზობელი გვყავნდა, ასე იტყოდა, შვიდის წლისა ვიყავი რომ პირველი შვილი მამეცაო. დედა და შვილი ტიკნებს ვთამაშობდითო. რატო არ შეიძლება?

— რა გვარი ხართ?

— აკი მოგახსენეთ. ხანჯალაანი.

— არა, მაგას არა გკითხამთ....

— ძველი გვარია, დედაშვილობამა! ჩემი დედამთილისაგან გამიგონია, ჯერ ნარიყალის ციხე არა ყოფილა აშენებული, რომ ჩვენი გვარი ქალაქში ყოფილა. ხომ გაგიგონიათ თამარ დედოფალი, წმინდანი ყოფილა; იმის წინათ ჩვენი გვარი ქალაქში მკვიდრ მოქალაქეთ ხსენებულა.

— არა ბატონო, მაგას კი არა გკითხავთ, იმასა გკითხავთ, რა მილეთის კაცი ხართ, სომხის სისხლისა, თუ ქართველისა?

— ჰო, ეგრე ბძანეთ! სომხისაც არის ჩვენ სისხლში, ქართველისაც, თათრისაც.

— როგორ?

— აი ასე, რომ სარკინეთის ქვეყნიდამ თუ ბაღდადის ქალაქიდამ ქალაქში არაბები ყოფილან ერთხელა. ერთი ჩვენი გვარისაც...

— ეჰ, დედა ჩემო, თათრები ყოფილან.

— არა, დედაშვილობამ. აბა შენთვის რამდენ ჯერ მითქვამს, რომ მამაპაპის ოჯახის ამბავი კარგა უნდა იცოდე. არაბიც კი თათარია, მაგრამ სულ სხვა თათარია. თათარიც არის თათარიცა: ყიზილბაშსაც თათარი ჰქვიან და ოსმალოსაცა, სულ ხომ ერთი არ არის? არაბები სახით შავები არიან, განა არ გინახამს.

— მერე ჩვენ რატო შავები აღარა ვართ?

— ეჰ, დამაცა შვილო და, არაბები ყოფილან, მერე ქალაქის თათარი შეურთავთ, თათრათა ყოფილან, ხან ყიზილბაშის თათრის ქალები ჰყოლიათ, ხან ოსმალოს თათრისა; აი ამ ნიშნით თათრები ყოფილან, რომ დროშკის მეიდანთან, ჯვარი-მამის ზემოთ რომ ძველი პურის მაღაზია იყო, ის მეჩითი ყოფილა და იქ უფლიათ. მერე სომხობა მიუღიათ, ბევრი თაობას გაუვლია. ახლა, მერმე ქართველათ მონათლულან და ქართველის ქალები ჰყოლიათ. ასე გამიგონია, რომ ჩვენ გვარში რძლათ ორი ბერძნის ქალიცა ყოფილა. აბა ახლა ბძანეთ, როგორ მოგახსენო, რომელი სისხლია?

— მაინც რა ენით ლაპარაკობთ?

— ძი ხომ გელაპარაკებით ქართულათ. ეს პატარა აგერ ოთხისა არის და ჯერ ლაპარაკი არ იცის. თქვენ ნასწავლი ხართ და იქნება წამალი რამე იცოდეთ?

— არა ბატონო, ექიმი ნახეთ.

— ვნახეთ, ჩვენ მეზობლათა დგას. კაი ბებრობაც იცის და კარგი მკითხავიც არის.

— არა ბატონო, ნასწავლი ექიმი უნდა ნახოთ.

— თქვენმა მზემ კარგი ნასწავლიც არის და ასეთია მაგისი კარი, თითქოს ხატის კარი იყოსო, იმოდენა ხალხი დაიარება. ეს გამოცდილი და უებარი რამ მასწავლა, რომ ბაგრატიონის გვარის ვაჟკაცს სამი სილა შემააკრევინეო და მაშინვე ენას აიდგამსო. ბევრს უცდიათ და სხვებისგანაც გამიგონია. მუხრანს უნდა წავსულიყავით ბაგრატიონების გვარნი იქ არიანო მაგრამ შორს არის და გზის შიშიცა გვაქვს. ბაგრატიონის გვარისა ხომ არავინ გეცოდინებათ ქალაქში, ეგება მიგვასწავლოთ.

— აბა ეგ რა ჩემი საქმეა? რამდენი ოთახია?

— რამდენია შვილო? აი ეს ერთი და ისიც ერთი ოთახი. ერთი დრო გვქონია ჩვენც, გვერდებზე ბევრი სახლ-სათორნე და საყუჩნაოცა შენებულა. ჩემი მამამთილის პაპის დროს აი ამ დარბაზში მეფე შანავაზი ბძანებულა. ჩემი მამამთილის პაპა პირველი მეზარ-ნიშნე ყოფილა და დასახედათ მოსულა, თურმე მეფის ხმალს ზარნიშანს უკეთებდა.

— სარდაფი არა აქვს?

— გახლამს. მობძანდებით? ასეთი სარდაფებია, რომ სარდაფში სარდაფებია და ქუჩის იქით პირ-და-პირ სახლქვეშ გადის. იმ ადგილსაც, რაც ზემოთ სახლებია, ვდავობთ. გეთაყვა ესეც ჩასწერეთ, სასამართლოში წაიკითხონ.

— აი ჯან დედიჯან! რა კარგა მოიფიქრე.

ანჩისხატისუბნელი

## გაზეთებიდამ ამოკრეფილი ამბები.

—

გაზეთების სიტყვით: რუსეთში ხმა დავარდა, რომ აწინდელის სახელმწიფო ხარჯის მხდელთა გარდა სხვა წოდებანიც მოიწვევიანო სახელმწიფო ხარჯის გამოსაღებათაო; რომ ამაზედ საქმე კიდეც გადაწყვეტილიაო და ამის აღსრულებაში მოყვანა ჯერ ხანობით გადუდვიათო. ამბობენ, რომ ამითი ათი მილიონის შემოსავლის იმედიაო.

—

17 იანვარს ოდესაში დანიშნული იყო გასასყიდლად იქაურს სადგილ-მამულო ბანკისაგან ასი ადგილი-მამული. სასყიდლად თუმცა სამოცი კაცი გამოცხადდაო, მაგრამ მათში ერთის მეტი ფასის მძლეველი არ აღმოჩენილა და ამის გამო არც ერთი მამული არ გაყიდულა. 21 იანვარს კიდევ ხელ მეორედ დაუნიშნავთ გასყიდვა და ერთის მამულის მეტი არ გაყიდულა.

—

სახალხო განათლების სამინისტროს განუზრახავს ამ წლის განმავალობაში ცნობაში მოიყვანოს სახალხო სასწავლებლების მასწავლებელთა შორის რომელს როგორი სწავლა მიუღია, რადგანაც ზოგს იმათგანს თურმე სწავლის ნიშნად დაწესებული მოწმობა არა აქვთ; გარდა ამისა განუზრახავს ყოველს ამ გვარს მასწავლებელს ვალად დასდოს, რომ სამინისტროს წარუდგინოს ხოლმე ცნობა მასზედ თუ სასწავლებელში რამდენი მოწაფეა და მათი სწავლა როგორ სწარმოებს ან როგორ მიდის.

—

გერმანიაში დიდი ბაასი გამართულა სახელგანთქმულის მეცნიერის ფირხოვის ახლად აღმოჩენილს საგანზედა. ფირხოვი იძიებდა ბოლგარიელთა შთამომავლობას და იმ აზრზედ დადგა, რომ ბოლგარიელნი სლავიანები კი არა ფინნების შთამომავალნი არიანო. ეს აზრი უფრო იმაზედ დაუმყარებია, რომ კაცის თავის ქალა ბოლგარიაში ნაპოვნი, უსინჯავს და დაუნახავს რომ ბოლგარიელთა თავის ქალა არამც თუ ფინნების ქალას ემზგავსება, არამედ ზანგთა (Негръ) ქალასაც და სლავიანების ქალასთან კი არა ფერი მგზავსება არა აქვსო.

—

ერთს რუსულ გაზეთში იწერებიან რომ ამ ცოტას ხანში ჩაის ფასმა უნდა აიწიოს, რადგანაც რუსეთში ჩაის ვაჭრობა ინგლისელების ხელშიაო და ამათ უსტით ვაჭრობა რუსების ვაჭრებს მოუკვეთესო.

—

ერთს რუსულ გაზეთს შეუტყვია, რომ შემოსავლის გვალობაზედ სახელმწიფო ხარჯის დადგენა და ამ ხარჯის გაწერა ყოველის წოდების პირთა ზედა ფინანსთ სამინისტროს კიდეც გადუწყვეტიაო და ამ ცოტას ხანში გადასცემსო უმაღლესს მთავრობასა განსახილველად და დასამტკიცებლადაო. აწინდელი სახელმწიფო ხარჯი სოფლისა და ქალაქის გლეხთათვის დაწესებულიო, ჯერ-ჯერობით ისევ იმ სახით დარჩება, როგორც აქამომდე იყოო.

—

რუსეთში ქაღალდის ფული (ასიგნაცია) 1864 წლის ყოფილა ექვსას ოცდა თექვსმეტის მილიონისა, 1876 წლის პირველს იანვარს—შვიდას ოთხმოცდა ჩვიდმეტის მილიონისა.

—

ერთს გაზეთს („Новости") შეუტყვია, რომ ოცდა ხუთ მანეთიანი ასიგნაციები ხელა ახლად გამოცვლილი იქნებიანო.

—

ერთს გაზეთში (Бирж. Вѣд.) ჰსწერენ, რომ პეტერბურგის ოლქის სასამართლოში ამ დღეებში შევა ისეთი საქმე, რომელიც „ჩერვონის ვალეტის" საქმის მაგვარიაო. ამ საქმეში ბრალდებულნი არიან სამი კაცი და ორი ქალი, რომელნიც განათლებულს საზოგადოებას ეკუთვნიანო. მრავალ გვარის მაცდურებითა და სიცრუითა ზემოხსენებულთ ხუთს გვამს ბევრი სიყალბე მოუხდენია. მაგალითებრ: მაღაზიებსა და დუქნებში სხვის სახელით უვლიათ და საქონელი ნისიად უღიათ ვითომც იმ პირთა მონდობილობით, რომელთაც იმ მაღაზიებსა თუ დუქნებში ესტიბარი ჰქონიათ. ამისათვის ტყუილი ვექილობა მოუგონიათ. ამას გარდა თავისი გვარ-წოდება დაუტოვებიათ, სხვისა მიუღიათ და ამის შემწეობით ფული უგროვებიათ ვითომც სათნო საქმისათვის შესაწირავად.

—

ფრანციული გაზეთი „Agence Générale Russe" რომელიც პეტერბურღში გამოდის, იწერება, რომ ამ ჟამად რუსეთს დამზადებული ჰყავს 550,000 ჯარის კაცი, რომელთა შორის 270,000-ს შეუძლიანთ იმ წამსვე საომრად გავიდესო, რა წამსაც ბძანება გამოვაო.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Марта 1877 г. Типографія Е. Хелладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე